პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 48 (9824) | პარასკევი, 26 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტური პარტია ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მოკლე ვადაში აამოქმედონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელი რეზერვები, აიყვანონ ჩამორჩენილი რაიონები და კოლმეურნეობები მოწინავეთა დონემდე, მიაღწიონ მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ისეთ საერთო აღმავლობას, რომ აყვავდეს უკლებლივ ყველა კოლმეურნეობა, რომ ყველა კოლმეურნე უზრუნველყოფილი იქნეს ბედნიერი ადამიანი გახდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში უხვად იყოს კვების ყველა პროდუქტი ქალაქების მზარდი მოსახლეობისათვის, ყველა სახეობის ნედლეული მსუბუქი მრეწველობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი

პრესის საბრძოლო ამოცანები საარჩევნო კამპანიაში

ახლოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე. საბჭოთა ადამიანები ჩვენი სამშობლოს ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის ემზადებიან, როგორც დიდი, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის.

ყველგან ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში დიდი პატრიოტული აღმავლობაა, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვით ყველა ამომრჩეველისადმი. მუშები, გლეხები, საბჭოთა ინტელიგენცია შემოქმედებითი აღფრთოვანებით იბრძვიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი და ახალი წარმატებების შესახებ.

საარჩევნო კამპანიის დღეებში საბჭოთა კავშირის ხალხები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიის პოლიტიკას, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მთელი მზადება პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციაა.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დიდ და პასუხსაგებ მუშაობას ეწევა ჩვენი პრესა — პარტიის ყველაზე მძლავრი იარაღი. საბჭოთა პრესა პროპაგანდას უწევს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, XIX ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებს. გაზეთები და ჟურნალები მშრომელებს განუმარტავენ სსრ კავშირის კონსტიტუციის დიად პრინციპებს, საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე, ცხადყოფენ საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ცხოველმყოფელ ძალას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში შევიდა. უკლებლივ ყველა საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გატარებული არიან კომუნისტებისა და უპარტიოების ურდვეი ბლოკის კანდიდატები. ჩადგება აგიტაცია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატებად ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილების, მუშების, გლეხების, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლების არჩევისათვის. ნდობით აღჭურვილი პირები და აგიტატორები ამომრჩეველს აცნობენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და შრომითს მოღვაწეობას. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატების შრომითი ცხოვრება, შემოქმედებითი შემართება, საზოგადო მოღვაწეობა გვიჩვენებს საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი, ხალხისადმი თავდადებული სამსახურის ნიმუშებს. კანდიდატებზე საუბრები ცოცხალი დადასტურებაა კომუნისტური პარტიის მზრუნველობისა ბედნიერდილი საბჭოთა ადამიანების ზრდისა. ამ ადამიანებზე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ ილაპარაკო, თუ რა შესანიშნავი ცვლილებები მოხდა ომისშემდგომ წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში, როგორ აყვავდა სახალხო მეურნეობა და კულტურა, რაოდენ გაუმჯობესდა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა. ჩვენი პრესის მოვალეობაა რაც შეიძლება ფართოდ გვიჩვენოს დეპუტატობის კანდიდატების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი მოღვაწეობა.

ცოტა როდია ისეთი გაზეთები, რომლებიც ფართოდ აშუქებენ საარჩევნო კამპანიის მსვლელობას. ბელორუსიის რესპუბლიკური გაზეთის „ზვიაზდის“, საოლქო გაზეთების „სოციალისტიჩნა ხარკოვშჩინის“, „პრავდა სევერას“ და სხვების ფურცლებზე დაიბეჭდა ამომრჩევლების საინტერესო წერილები, აგიტატორთა ბიუროები. მთელ რიგ გაზეთებში გამოქვეყნდა შინაარსიანი ნარკვევები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ.

საჭიროა, რომ ყველა ჩვენი გაზეთი ფართოდ აქვეყნებდეს ანგარიშებს კანდიდატებთან შეხვედრების შესახებ, ნდობით აღჭურვილი პირებისა და ამომრჩევლების გამოსვლებს, მშრომელთა წერილებს, რომლებიც მოგვითხრობენ ხალხის მოწინავე წარმომადგენლებზე, რომლებიც დასახელებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად, საბჭოთა ხალხის დიდ გამარჯვებებზე, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მრავალ ასეულ ათასობით ადამიანი უშუალოდ მონაწილეობს საარჩევნო კომისიების, აგიტპუნქტებისა და აგიტკოლექტივების მუშაობაში. გაზეთების რედაქციების მოვალეობაა დაამყარონ მათთან უაღრესად მჭიდრო კავშირი, სისტემატურად უჩვენონ ამომრჩეველთა შორის საგაზეთო-პროპაგანდისტული მუშაობის საუკეთესო გამოცდილება, არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადება — საარჩევნო უბნების გაფორმება, ამომრჩეველთა სიების შემოწმება, გამოავლინონ პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებანი.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო ფართოდ ჩადგება სოციალისტური შეჯიბრება ქარხნებში, ფაბრიკებში, შახტებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

პრესის ამოცანაა სისტემატურად გააშუქოს საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების მიმდინარეობა, მხარი დაუჭიროს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს თაოსნობას, გამოავლინოს შინარეზერვები, რომლებიც ჩვენი მრეწველობის წიაღში მოიპოვება, იბრძოლოს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ ჩამორჩენილი საწარმოები დაეწიონ მოწინავეებს.

მოლოტოვის საოლქო გაზეთმა „ზვეზდამ“ ამ დღეებში გამოაქვეყნა მშრომელთა წერილები, რომლებშიც გამოვლინებულია წარმოების შინაარეზერვები ქვანახშირისა და სატყეო მრეწველობაში. მრეწველობის მუშაობის აქტუალურ საკითხებზე დიდმნიშვნელოვანი წერილებია დაბეჭდილი მთელ რიგ სხვა გაზეთებში. ყველა ადგილობრივმა გაზეთმა აქტიურად უნდა მოიზიდოს თავის ფურცლებზე თანამშრომლობისათვის წარმოების ნოვატორები და მოწინავეები. მათი გამოცდილების ფართო პროპაგანდა და წარმოებაში დანერგვა ჩვენი მრეწველობის შემდგომი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირების, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სრულიად რუსეთის თათბირის შემდეგ ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის. საქონლის ასორტიმენტში თითქმის 70 სახელწოდების შალისა და აბრეშუმის ნაწარმია — თეთრეული, წინდები, ბავშვის კოსტიუმები, უაკეტები, ჯემპრები, რომელთა გამოშვება 1954 წელს 60 პროცენტით იზრდება. კოლექტივმა ვალდებულება იკისრა საწარმოო ფართობების გაუდიდებლად შარშანდელზე 22 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია დაამზადოს. **სურათზე:** სამკერვალო საამქროს უფროსი ვ. ტ. ლიაზოვა (მარცხნივ) და შემფუთავი ნ. მ. ისაკოვა ათვალიერებენ ფაკეტებს სავაკრო ქსელში გაგზავნის წინ.

ფოტო ა. ფატეევისა
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ხიდი მდინარე ოგზე

ნოვოსიბირსკი, 24 თებერვალი. (საკდესი). ციმბირის დიდი მდინარის ობის ნაპირებზე გადაჭიმულია ციმბირის ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი ნოვოსიბირსკი. აქ ათობით ფაბრიკა და ქარხანაა. მაგრამ კარგი სატრანსპორტო კავშირი ქალაქის ორივე ნაწილს შორის არ არის. თითქმის კილომეტრი სიგრძის წყლის ზღვი თიშავს ქალაქის რაიონებს.

მეზუთე ხუთწლედში აქ დაიწყო დიდი კომუნალური ხიდის მშენებლობა. მოკლე ვადაში მშენებლებმა მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს. უკვე მთლიანად დაამთავრეს წყალქვეშა სამუშაოები. მარცხენა ნაპირზე მიწისმოწოვთა დახმარებით ხიდის ჯებირი ამოავსეს თითქმის მილიონი კუბური მეტრი გრუნტით.

ხიდი მდინარე ობზე ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ნაგებობა იქნება. მისი დიდი მალების ქვეშ თავისუფლად გაივლიან ყველა ტიპის გემები. ხიდის სავალი ნაწილი დაპროექტებულია იმდენად ფართო, რომ იქ ორივე მიმართულებით ერთდროულად იმოძრავებს ტრამვაის მატარებლები და ფეხით მოსიარულეთა ორი ნაკადი.

ახლა მშენებლები გაცხოველებით მუშაობენ. ყინულის დაძვრამდე უნდა დაიწყონ მალების მონტაჟი მდინარის ორივე ნაპირიდან. ყინულიდან გაზიდონ ბევრი სხვადასხვა ტექნიკა. საჭიროა მონტაჟისათვის მოამზადონ 7 ათასი ტონა ლითონის კონსტრუქციები, ჩაასხან 18 ათასი კუბური მეტრი ბეტონი ხიდის სავალ და სხვა ნაწილებში, გრანტით მოაპირკეთონ 5 ათასი კვადრატული მეტრი.

ჩვენს დიად საშშოგბლოში

★ ★

საბჭოთა საქართველოს 33-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

გუშინ, 25 თებერვალს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 33-ე წლისთავისადმი.

სადღესასწაულოდ მორთულ თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის დაწესებულებათა და მშენებლობათა მოწინავე მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები მ. დ. ჩუბინიძე, მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, ო. დ. გოცირიძე, ე. ა. სეხნიაშვილი, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კულტურის მოღვაწეები.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. მაღრაძე საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 33-ე წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. მ. დ. ჩუბინიძეს.

მომხსენებელი ლაპარაკობს, თუ რა გზა განვლო საბჭოთა საქართველომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დაწვრილებით ეხება ქართველი ხალხის წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რომლებიც მიღწეულია დიდი რუსი ხალხის და სსრ კავშირის ყველა ხალხის ძმური დახმარებით.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში საქართველოს მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის მშენებლობაში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლებისათვის, სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს აღფრთოვანებს ახალ-ახალი შრომითი წარმატებისათვის, იმისათვის, რომ კიდევ უფრო თავდადებით იბრძოლონ იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესებს ფხიზლად იცავენ საბჭოთა კავშირის სახელოვანი შეიარაღებული ძალები, რომლებიც გარემოსილი არიან მთელი ხალხის სიყვარულითა და ზრუნვით.

ქართველი ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ეგებება მჭიდროდ დარაზმული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც მოახმაროს თავისი ძალები საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობას, კომუნიზმის გამარჯვებას.

ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან დამსწრენი ამხ. ჩუბინიძის სიტყვებს, როცა იგი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა საქართველოს, გმირ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელ ხალხს, დიად კომუნისტურ პარტიას.

ასრულებენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს.

სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

სტალინო. ტრესტ „სტალინუგოლის“ ჩელუსკინელების სახელობის № 1 შახტის მეშახტეები ემზადებიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. იანვარში სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა ნ. ფომენკოვის ბრიგადამ. ახალი მანქანის — გვირაბსათხრელ კომბაინ „შბმ“-ის დახმარებით ბრიგადამ გათხარა 235 გრძივი მეტრი შტრეკი, თითქმის ერთთვიურად გადაეჭარბა დავალებას. **სურათზე:** კომბაინის მძღოლი გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ნ. ფომენკოვი (მარცხნივ) და „შბმ“-ის უფნროსი ნ. სერბინოვიჩი მანქანის სამართავ პულტთან.

ფოტო ხ. გენდელმანისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ციკლუროგის გრაფიკით

ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შეაჯამეს სათბობის ციკლური ამოღების შედეგები.

ოთხი წლის წინათ დონბასის შახტებში, ხოლო შემდეგ ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის სხვა აუზების შახტებშიც დაიწყო ქვანახშირის ლაგების გადასვლა ციკლუროგის გრაფიკით მუშაობაზე. ახლა ამ გრაფიკს იყენებენ 3.600-ზე მეტ ასაწმენდ და მოსამზადებელ სანგრევში.

ქვანახშირის კომბაინების, საყელავი მანქანების, ელექტრომავლებისა და ტრანსპორტიორების წარმადობა ერთიანობად — ერთისამად გადიდდა იმ შახტებში, რომლებიც ციკლუროგის გრაფიკით მუშაობენ. დონეცის ლუტუგინის სახელობის შახტში, ყარაგანდის № 1 შახტში და ტრესტ „სკურატოვუგოლის“ № 6 შახტის მოსამზადებელ უბანზე ბევრად გადიდდა ქვანახშირის კომბაინების მოძრაობის სიჩქარე, შეწყდა მექანიზმებისა და მოწყობილობის მოცდენა, ამის შეთხებით მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება გადიდდა ერთნახევარჯერ და უფრო მეტად.

მნიშვნელოვნად გადიდდა იმ მაღაროელთა ხელფასი, რომლებიც ციკლუროგის ნორმატივებს ასრულებენ.

სათბობის ამოღების პროგრესული ორგანიზაციის გავრცელება სახსრების დიდ ეკონომიას მისცემს წარმოებას. გამოანგარიშებულია, რომ თუ ციკლუროგის გრაფიკი გვრცობის გაყვანის ყველა სამუშაოზე დაინერგა, ერთი მეტრი ქანის გათხრის ღირებულება ორმოცი და მეტი მანეთით შემცირდება.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის აუზებში ჩადგება შეჯიბრება ყველა შახტში, უბანზე, ჭრილში ციკლუროგის გრაფიკის მასობრივი დანერგვისათვის. (საკდესი).

ყამირი მიწების ასათვისებლად!

კიევი. უკრაინის დედაქალაქის ახალგაზრდობა გუშინ სიხარულის მღელვარებას განიცდიდა. პარტიის მოწოდებით ყაზახეთს გაემგზავრა ქალაქ კიევისა და კიევის ოლქის კომკავშირელთა პირველი ჯგუფი — 87 კაცი. ახალგაზრდა პატრიოტების გასაცილებლად თავი მოიყარა ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების თანამედროვე წარმომადგენელმა.

18 საათია. ახალი მიწების ასათვისებლად კომკავშირელთა გამგზავრებისადმი მიძღვნილ მიტინგს ხსნის კომკავშირის კიევის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. სოკოლი. მიმავალთ გზა დაულოცეს უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შეველმა, უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ბასოვმა და სხვ.

მიმავალთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ბოროდიანკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა სერგი ანდრიენკომ.

მიტინგი დამთავრდა. მატარებელი დაიძრა და ყაზახეთს წაიყვანა უკრაინელ კომკავშირელთა პირველი ჯგუფი.

ლენინგრადი. კიროვის ქარხნის პარტკომში და კომკავშირის კომიტეტში შემოვიდა 133 განცხადება საწარმოს ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტებისაგან, რომლებიც ითხოვენ ალტაის მხარეში გაგზავნას.

ათობით განცხადება შემოდის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას“ და სხვა საწარმოების კომკავშირელებისაგან.

მინსკი. ბელორუსიის 900-ზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა გამოთქვა სურვილი წავიდნენ სამუშაოდ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში. მათ სურთ იყვნენ ახალი მიწების ათვისებისათვის, სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

23 თებერვალი. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

მოწინავე ქირურგი

ორი წლისა იყო მიხეილი, როცა მისი მამა კონსტანტინე ჩაჩავა, გურიაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მოკლულ იქნა ჟანდარმერიის მიერ 1904 წელს საპირველმაისო გამოსვლაში მონაწილეობისათვის. დედისა და უფროსი დის მზრუნველობით მიხეილმა 1922 წელს დაამთავრა ლანჩხუთის სამუალო სასწავლებელი, იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის ექვსწლიანი კურსი დაამთავრა 1928 წელს და მიიღო ექიმის წოდება.

მ. კ. ჩაჩავამ თავიდანვე გამოიჩინა დიდი სიყვარული და მისწრაფება ქირურგიისადმი, გაიარა მეცნიერი მუშაკის, ქირურგი-კლინიცისტისათვის საჭირო სკოლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში პროფესორ გ. მ. მუხაძის ხელმძღვანელობით. ის ოთხჯერ იყო სამეცნიერო და კვალიფიკაციის ასამაღლებელ მივლინებაში მოსკოვის, ლენინგრადისა და ხარკოვის ქირურგიულ კლინიკებში.

დიდი სამამულო ომის წლებში ამხ. მ. კ. ჩაჩავა ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საევაკუაციო ჰოსპიტლებში.

ამ ხნის განმავლობაში ამხ. მ. კ. ჩაჩავამ მიიღო დიდი პრაქტიკული გამოცდილება, ჩამოყალიბდა როგორც მოწინავე ქირურგი და მეცნიერი. 1936 წელს დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1937 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე.

ამხ. მ. კ. ჩაჩავა ავტორია 95 სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან 45 დაბეჭდილია ქართულ და რუსულ ჟურნალებში სტატიების სახით, ხოლო 5 გამოქვეყნებულია ცალკე მონოგრაფიებად.

1950 წლიდან მ. კ. ჩაჩავა განაგებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ფაკულტეტების ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრას.

ცნობილია, რომ გულის ოპერაცია ფრიად რთულია. ის ქირურგის სწრაფ ორიენტაციას და დიდ დახელოვნებას მოითხოვს. გამარჯვების შემთხვევაში ქირურგს აქვს სრული საფუძველი დამსახურებულად იამაყოს, რადგან გულის ჭრილობა ყოველთვის სასიკვდილოა, ავადმყოფი პირველ საათებშივე იღუპება.

— ღამის პირველ საათზე სასწრაფოდ გამომიძახეს კლინიკაში, — იგონებს ამხ. ჩაჩავა ერთ-ერთ შემთხვევას. — გულში დანით მძიმედ დაჭრილი ახალგაზრდა მოეყვანათ. გულმკერდის მარცხენა მხარეზე, სწორედ გულის მიდამოში ფინური დანით მიყენებული ჭრილობიდან დიდი რაოდენობით გადმოდიოდა მოწითალო-მოქი ფერის სისხლი. ავადმყოფი უგონოდ იყო. დაყოვნება არ შეიძლებოდა. დავიწყეთ ოპერაცია. გულის პერანგში სისხლის კოლტი და შედედებული სისხლი აღმოჩნდა. სისხლი ამოვაშრე. ჭრილობა გულის მარჯვენა პარკუჭში შეღწეულია 2 სანტიმეტრის სიგრძეზე. ჭრილობაზე დადებულ იქნა სამი კვანძოვანი ნაკერი. სისხლის დენა შეწყდა. მიუხედავად ამისა, გულის პერანგის ღრუ კვლავ სწრაფად ივსება სისხლით. ეს ადასტურებს, რომ ჭრილობა შეღწეული იყო გულის უკანა კედელშიც, ამიტომ გულის წვერი ზევით შევაბრუნე. ჩქარა დავადე ნაკერი ჭრილობას. ამოცანა შევასრულე და ავადმყოფი გადარჩა. იგი ზაჰესის ახალგაზრდა მუშა ჯ. დ-ა იყო. შემდეგ იგი გაიტაცა მედიცინამ. 11 წელია ექიმია.

ასეთივე გატაცებით ყვება მიხეილი გულის მეორე ოპერაციის შესახებ, როცა მძიმედ დაჭრილი ადამიანი გამოცდილი დოსტაქრის ხელმა გადაარჩინა.

მიხეილის სამუშაო მაგიდის ერთი ყუთი სავსეა ყოფილი ავადმყოფების წერილებითა და დეპეშებით.

ინჟინერი გიორგი შაროვი 1952 წლის 12 ივლისს კემერეოვოს ოლქის ქალაქ სტალინსკიდან სწერდა: „12 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ გამათავისუფლეთ მძიმე ავადმყოფობისაგან. მე ახლა ჯანმრთელი ვარ. დიდი ბედნიერებაა იყო ჯანმრთელი.

ვმუშაობ მთელი შესაძლებლობით. მეტალურგიის დარგში ახალი მიღწევებისათვის წელს სტალინური პრემია მომანიჭეს“.

გიორგი შაროვს „პრავდაში“ წაუკითხავს ცნობა მიხეილ კონსტანტინეს-ძე ჩაჩავას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენების შესახებ და აღფრთოვანებული დეპეშა გამოუგზავნია მისთვის.

ეცნობით მიხეილ კონსტანტინეს-ძის მოოვაწეობას და რწმუნდებით, რომ იგი ხალხის ნამდვილი მსახური, მისი გულის მესაიდუმლეა.

ა. მინდაძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

250.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია

სამტრედია. (საკ. კორ.). გამართულად, მაღალნაყოფიერად მუშაობს სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის კოლექტივი უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. იანვრის გეგმა აქ 108,8 პროცენტით შესრულეს. ამასთან გეგმის გადამეტებით 250.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დაწინაურდა მეორე ცვლა, რომელსაც ქ. მიქელაძე ხელმძღვანელობს. თავდადებული შრომით თავი ისახელეს სტახანოველმა მუშებმა ლ. გიორგაძემ, თ. ფრანგიშვილმა, ლ. ბობროვამ და ნ. ჯანაშიამ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ა. ლ. გუნიას სიტყვა

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი

ამხანაგო დელეგატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვა გადაჭრით მოუღონ ბოლო იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობას, უზრუნველყონ იდეოლოგიური მუშაობის უაღრესად მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან.

მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებათა მოღვაწეობა მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ განუმარტონ მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება და პარტიისა და მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებანი მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების უფრო მეტად გაუმჯობესების შესახებ.

ამისათვის საჭიროა ავამაღლოთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე ქალაქად და სოფლად, გამოვაცოცხლოთ თეატრების, შემოქმედებითი კავშირების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობა, უზრუნველყოთ კინოფილმების რეგულარული დემონსტრაცია, გავაძლიეროთ ქალაქებისა და სოფლების რადიოფიკაცია, გავაუმჯობესოთ რადიომაუწყებლობის ხარისხი, უფრო ფართოდ გავწიოთ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა, გავავრცელოთ წარმოების მოწინავეთა გამოცდილება.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით, თავისი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის უანგარო, ყოველმხრივი მხარდაჭერისა და დახმარების მეოხებით საქართველოს სსრ გადაიქცა მაღალი სოციალისტური კულტურის მქონე მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად.

საბჭოთა ხალხების დიად ოჯახში სულ უფრო იფურჩქნება და ვითარდება საბჭოთა საქართველოს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებანი უეჭველია. მაგრამ ისინი ვერ აკმაყოფილებენ საბჭოთა ადამიანებს, რომელთა იდეური და კულტურული დონე, სულიერი მოთხოვნილებანი განუწყვეტლივ იზრდება.

უკანასკნელ თვეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც მიმართულია დრამატული თეატრების, მუზეუმების მუშაობისა და მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებისაკენ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დონისძიებანი ქალაქად და სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებისათვის. ყველა ამ ღონისძიებამ გამოიწვია შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და კავშირების მუშაობის ერთგვარი გამოცოცხლება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს.

სერიოზული ჩამორჩენაა კინოსტუდიის მუშაობაში. ამჟამად კულტურის სამინისტრო, საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილებასთან ერთად, სწავლობს კინოსტუდიის მუშაობას, რის შედეგადაც დაისახება კონკრეტული ღონისძიებანი მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

იდეოლოგიური ფრონტის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა სოფლად. მასობრივი მუშაობის მრავალნაირი ფორმების გამოყენებით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეეძლიათ შეიტანონ და უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში.

მაგრამ საჭიროა, რომ ისინი პარტიული ორგანოების შეუსუსტებელი ყურადღებით სარგებლობდნენ. პარტიის რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან ღრმად ჩასწვდნენ სასოფლო კლუბების მუშაობის შინაარსს, მონდომებით აამაღლონ ამ მუშაობის იდეური დონე, იზრუნონ იმისათვის, რომ ყველა კლუბს ჰქონდეს კარგი მატერიალური ბაზა.

ზოგიერთ რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები მოთავსებულია უვარგის შენობებში. კერძოდ, ასეა საქმე თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, ზუგდიდის, გურჯაანის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, სიღნაღისა და სხვა რაიონებში. რესპუბლიკის 2.060 კოლმეურნეობიდან 235-ში საერთოდ არ არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

ცნობილია, რომ რესპუბლიკაში ცოტა როდია ეკონომიურად მძლავრი კოლმეურნეობანი, რომლებსაც მტკიცე საწარმოო ბაზა აქვთ, კარგად და ვადაზე ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე, იღებენ დიდ შემოსავალს და უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა შრომადღის მაღალ ანაზღაურებას. ასეთ მეურნეობებს კლუბების, სამკითხველოების, ბიბლიოთეკების მშენებლობის ყველა შესაძლებლობა აქვთ.

კულტურის სამინისტრომ და ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ რესპუბლიკაში არ დარჩეს არც ერთი კოლმეურნეობა და დიდი დასახლებული პუნქტი, რომელშიც არ იყოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს მრავალი ათასი მსწავლებელი, ექიმი, აგრონომი, ზოოტექნიკოსი და სოფლის მეურნეობის მექანიზატორი. ეს დიდი ძალაა. მაგრამ ამ კადრებს სრულიად არასაკმაოდ იყენებენ მოსახლეობაში კულტურული მუშაობისათვის.

მაგალითად, გარდაბნის რაიონში 525 მასწავლებლიდან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში ჩაბმულია მხოლოდ 23, 49 აგრონომიდან — 2, 79 ექიმიდან — 4.

ზესტაფონის რაიონში 717 მასწავლებლიდან — მხოლოდ 21, 49 აგრონომიდან — 21, 18 ექიმიდან — 11.

ხაშურის რაიონში 444 მასწავლებლიდან — 44, 70 აგრონომიდან — 18; 73 ექიმიდან არც ერთი არ იღებს მონაწილეობას ამ მუშაობაში. ასეთი მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც. კულტურის სამინისტროსთან ერთად სოფლის მოსახლეობაში ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას უნდა ეწეოდნენ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის ორგანოების მუშაკები.

სოფლის კლუბებს უფლება აქვთ ქალაქის კულტურულ დაწესებულებათა ფართო დახმარების იმედიც ჰქონდეთ.

არ შეიძლება შევეგუოთ იმას, რომ ზოგიერთ სოფელ ადგილას კინოსეანსი იშვიათი მოვლენაა. ამაში მნიშვნელოვანწილად ბრალი მიუძღვით რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს და, კერძოდ, კინოფიკაციის სამმართველოს და „გლავკინოპროკატის“ რესპუბლიკურ კანტორას. მაგრამ პარტიის ბევრი რაიკომიც, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებიც ჯეროვან მზრუნველობას არ იჩენენ სოფლის მოსახლეობის კინომომსახურებისადმი.

ფართო, სულ უფრო მზარდ ნაკადად მიდის სოფელში წიგნები, რაც მოწმობს იმ დიად გარდაქმნებს, რომლებიც სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ყოფაცხოვრებაში, კულტურაში, სოფლის ცხოვრების მთელ წყობაში მოხდა.

პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ რა სოფლად წიგნის გავრცელებას, პარტიამ და მთავრობამ დადგენილებაში საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ გაითვალისწინეს სოფლად წიგნით ვაჭრობის მნიშვნელოვანი გაფართოება.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ცეკავშირმა (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ნარსია), რომელიც სოფლად წიგნის ვაჭრობის ძირითადი ორგანიზაციაა, ყურადღება მიაპყროს სერიოზულ ნაკლოვანებებს ამ საქმეში. ბევრ რაიონში წიგნი პატივით ვერ სარგებლობს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს შორის. წიგნის ვაჭრობა სადავიდარაბო საქმეა, ის ადგილი კი, რაც მას საერთო საქონლბრუნვაში უჭირავს, უმნიშვნელოა, და სამომხმარებლო კოოპერაციის ზოგიერთი საქმოსანი ნაცვლად იმისა, რომ წიგნის კულტურული ვაჭრობა გააჩაღოს, ცდილობს თავიდან მოიცილოს იგი.

სერიოზული შეცდომებია ლიტერატურის განაწილებასა და რაიონებში შეტანაში, რაც აფერხებს სოფლად წიგნის ვაჭრობის განვითარებასა და გაუმჯობესებას. ამ საქმის ორგანიზაციაში ცუდ მაგალითს იძლევა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობათა მთავარი სამმართველო წიგნის ვაჭრობის სამმართველო. იგი ჩვეულებრივად უკიდურესად კვეცავს წიგნის სავაჭრო ორგანიზაციების განაცხადებს ისეთ ლიტერატურაზე, რომელსაც გასავალი აქვს, მაგრამ ძალიან ზშირად გზავნის სოფლად ისეთ ლიტერატურას, რომელზეც მოთხოვნილება არ არის.

ვფიქრობ, რომ ყრილობის დელეგატებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება რესპუბლიკის კულტურულ დაწესებულებათა ქსელისა და პოლიგრაფიული ბაზის შემდგომი განვითარების ის ღონისძიებანი, რომლებიც საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს და რომლებიც საკავშირო მთავრობამ მოიწონა. 1955 წელს თბილისში დაიწყება პოლიგრაფიული კომბინატის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე 150 მილიონი ანაბეჭდი ფურცელი და 50 მილიონი საღებავგატარება ნაბეჭდი პროდუქცია იქნება, რაც 2½-ჯერ აღემატება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემის ამჟამად არსებული ყველა პოლიგრაფიული საწარმოს სიმძლავრეს. ამასთან ერთად, თითქმის ერთიორად დიდდება არსებულ პოლიგრაფიულ საწარმოთა სიმძლავრე გაცვეთილი მოწყობილობის ახალი მანქანებით შეცვლის გზით.

წელს უნდა დამთავრდეს კინოთეატრების მშენებლობა ქ. თბილისის ლენინის რაიონში და კომუნართა ბაღში, კულტურის სახლების მშენებლობა ყაზბეგში, ცაგერში, გურჯაანში, ოჩამჩირეში. დაიწყო კინოთეატრების მშენებლობა ქალაქებში ქუთაისში, სოხუმში, თელავში, წყალტუბოში, კულტურის სახლების მშენებლობა ჯავაში, ზნაურში, ქარელში, ბოგდანოვკაში, დუშეთში. ყოველივე ეს თუმცა მთლიანად ვერ დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს, მაგრამ მაინც ხელს შეუწყობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლას.

კულტურის სამინისტრო მიიღებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას იმ მიზნით, რომ აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი თავის მუშაობაში, რისთვისაც არსებობს ყველა საფუძველი და უწინარეს ყოვლისა ყოველდღიური დახმარება რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მხრივ.

ამხ. ა. ა. ბლრციანის სიტყვა

საქართველოს კ. პ. ახალქალაქის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! ახალქალაქის რაიონის მშრომელები ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვას შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობით უპასუხებენ. ამას მოწმობს სასოფლო-სამეურნეო წლის ორგანიზებულად დამთავრება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდება და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაში ახალქალაქის რაიონი სერიოზულად ჩამორჩება. ეს იმის შედეგია, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებსა და მტს-ებს.

ჩვენი რაიონი რესპუბლიკის ერთერთი უდიდესი რაიონია მეცხოველეობის, განსაკუთრებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, განვითარების მხრივ. უკანასკნელ წლებში რაიონში მკვეთრად გადიდდა პირუტყვის სულადობა. მაგრამ ამასთან ერთად წლითიწლობით მცირდებოდა ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ფართობი, ნათესი ბალახების ფართობი. შეიქმნა დიდი შეუფარდებლობა პირუტყვის სულადობის ზრდასა და საკვებ ბაზას შორის. გასაგებია, რომ ამის შედეგად ჩვენი ფერმები ნაკლებპროდუქტიული გახდნენ და კოლმეურნეობებს შემოსავალს არ აძლევენ. ამავე დროს არტელებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ შრომადღეებზე გაენაწილებინათ პირუტყვის საკვები.

ასეთი მდგომარეობა იმიტომ შეიქმნა, რომ რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელობა არ სწავლობდა რაიონის ეკონომიკას, არ იცნობდა მის შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს. ჩვენ არარეალურ, დაუსაბუთებელ გეგმებს გვაძლევდნენ.

საჭიროა, რომ ხელმძღვანელმა ორგანოებმა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ღრმად შეისწავლონ ჩვენი რაიონის ეკონომიკა და სწორი მიმართულება მისცენ მის განვითარებას — მემინდვრეობის განვითარებაზე ავიღოთ კურსი თუ მეცხოველეობის განვითარებაზე? ეს საკითხი ჯერჯერობით ნათელი არ არის. 1954 წლის გეგმაში ეს გარემოება მხოლოდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული.

ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე პირუტყვის ბინების მშენებლობის საკითხი. თითქმის 30 პროცენტი პირუტყვის საერთო სულადობისა, განსაკუთრებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, საზოგადოებრივი ბინების საკმაო რაოდენობით უქონლობის გამო, წვრილ ჯგუფებად მოთავსებულია კოლმეურნეთა ბოსლებში. სამშენებლო სამუშაოთა გეგმა წლითიწლობით არ სრულდება. რაიონის კოლმეურნეობები განრიგებით ხე-ტყის მასალას საჭირო რაოდენობით ვერ იღებენ. გარდა ამისა, ჩვენ ხე-ტყეს გამოგვიყოფენ ადიგენის ან აბასთუმნის სატყეო მეურნეობებიდან, რომლებიც რაიონს დაშორებულია 100—120 კილომეტრით, მაშინ როცა შეგვეძლო მიგვეღო ხე-ტყე ბაკურიანის სატყეო მეურნეობიდან, რომელიც ჩვენგან სულ 50 კილომეტრ მანძილზეა. ხე-ტყის უქონლობა გავლენას ახდენს საბინაო მშენებლობაზეც. ვფიქრობ, რომ საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გაითვალისწინებენ ამ გარემოებას და დაგვეხმარებიან ხე-ტყის მასალით მომარაგების გაუმჯობესებაში, გაითვალისწინებენ რა ჩვენი რაიონის სიშორეს რკინიგზიდან და მის უტყეობას.

რაიონში სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგურია, რომლებშიც 150-ზე მეტი ტრაქტორი, 70 სალეწი მანქანა, 30-მდე კომბაინი და ბევრი სხვა მანქანა და იარაღი ითვლება. ეს დიდი ძალა სოფლის მეურნეობაში მთლიანად ვერ არის გამოყენებული. სადგურებს დროულად არ ამარაგებენ საჭირო სათადარიგო ნაწილებით.

მტს-ების მუშაობას ის გარემოებაც აძნელებს, რომ ისინი სათადარიგო ნაწილებს იღებენ სატრაქტორო-საავტომობილო მრეწველობის მთავარი სამმართველოს გორის განყოფილებიდან, რომელიც რაიონიდან 200 კილომეტრ მანძილზეა. ეს განყოფილება ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებს ემსახურება, მაშინ როცა მიზანშეწონილი იქნებოდა განყოფილების შექმნა ახალციხეში, რაც ბევრ მტს-ს შეუმსუბუქებდა მდგომარეობას.

ჩვენს მტს-ებს წელს მოცემული აქვთ კარტოფილისა და ბოსტნეულის რგვის, დამუშავებისა და ამოღების მექანიზაციის დიდი გეგმა. რგვის დრო ახლოვდება, მტს-ებს კი ჯერაც არ მიუღიათ ამ სამუშაოებისათვის საჭირო მანქანები. სამივე მტს-ს სულ 3 კომპლექტი კარტოფილის სარგავი და 2 კომპლექტი კარტოფილის ამოსაღები მანქანები აქვს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის მთიან რაიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ჩვენს კოლმეურნეობებს ვერსად ვერ შეუძენიათ ნათესების დასამუშავებლად საჭირო ინვენტარი. არ არის, მაგალითად ცხენის გუთნები №№ 4 და 5. მთიანი ადგილების კოლმეურნეობები ინვენტარის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. ვფიქრობ, რომ საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო შეისწავლიან ამ საკითხს და მოაწყობენ ასეთი ინვენტარის წარმოებას მთიანი რაიონებისათვის.

ახალქალაქის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით, უზრუნველყოფენ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ჯეროვან დონეზე აყვანას, დარაზმავენ რაიონის კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა მშრომელს და მიაღწევენ მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ამხ. თ. ბ. ჯანელიძის სიტყვა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო! ლენინური კომკავშირი მთელ თავის საქმიანობაში მუდამ და ყველაფერში ცდილობს გაამართლოს კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწისა და მებრძოლი რეზერვის მაღალი წოდება. ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში — ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე — ძალდონის დაუზოგავად მრომობს ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, პარტიისა და მთავრობის შემდგომმა გადაწყვეტილებებმა, რომელთა მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, ახალი დიდი ამოცანები დაუსახეს ჩვენი სამშობლოს მშრომელებს. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდობა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მუშაობს 80.000-მდე კომკავშირელი, ასობით მათგანი ხელმძღვანელ თანამდებობებზეა კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. შესაბამისად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტების — აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტექიმების, მექანიზატორების რიცხვი.

პარტიის მოწოდების პასუხად საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ გაგზავნეს 2.500-მდე კაცი.

შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშებს გვიჩვენებს რესპუბლიკის ასობით ახალგაზრდა მექანიზატორი. წითელის მტს-ის კომკავშირელებმა გააჩაღეს ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ათვისებისა და სრული გამოყენებისათვის. საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწიეს თელავის მტს-ის ახალგაზრდა მექანიზატორებმა, რომლებმაც თავიანთ მტს-ში დანერგეს საათობრივი გრაფიკით მუშაობა და ორ-ორ — სამ-სამ პროფესიას ეუფლებიან. რესპუბლიკის საწარმოთა 300-მდე კომკავშირელმა პარტიის მოწოდების პასუხად სურვილი განაცხადა წავიდეს სამუშაოდ მტს-ებში.

საქართველოს ალკკ რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კონფერენციებმა, ალკკ ყრილობამ, რომლებიც ამას წინათ მოეწყო, ცხადყვეს სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც ახლავს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესრულებისათვის ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ცენტრალური კომიტეტის მუშაკები, სოოლქო და რაიონული კომიტეტების წევრები და კომკავშირელი აქტივისტები გაგზავნილ იქნენ ადგილებზე კომკავშირული ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად პრაქტიკული ამოცანების განხორციელებაში.

კოლმეურნე ახალგაზრდობის ერთ ნაწილში კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ დანერგეს სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი. შარშან 6.500 ჭაბუკსა და ქალიშვილს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, ხოლო 2.800-ს სულაც არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო წარმოებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები ზოგჯერ არ ზიდავენ ახალგაზრდობას საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის მისაღებად, საწარმოო დავალებებს არ აძლევენ ახალგაზრდა კოლმეურნეებს. თერჯოლის რაიონის 635 ახალგაზრდა კოლმეურნიდან შარშან საწარმოო დავალება არ მიუღია 115-ს, ორჯონიკიძის რაიონში — 114-ს.

პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კომკავშირის მუშაობას სკოლაში. მეორეწლიანთა დიდი რაოდენობა, მნიშვნელოვანი რაოდენობა იმ მოსწავლეებისა, რომლებიც წარმატებით ვერ ეუფლებიან სხვადასხვა საგანს, ბევრ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცუდად დაყენება, ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში სასკოლო შენობების მწვავე ნაკლებობა მოითხოვს კომკავშირული ორგანიზაციების, განათლების სამინისტროს ორგანოების უფრო დაძაბულ და მიზნედასახულ მუშაობას და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების დახმარებას.

მოსწავლეთა წარმატების ანალიზის დროს თვალში გვხვდება ეგრეთწოდებული „სამოსნების“ დიდი რაოდენობა, რაც იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკის სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ცოდნის სიღრმესა და სიმტკიცეს. ცალკეულ სკოლებში დაბალი წარმატება რამდენადმე შედეგია სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების სუსტი მუშაობისა.

საკავშირო ალკკ XI ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა პედაგოგ-აღმზრდელის გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი პედაგოგი არ იცნობს პიონერული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, არ ცდილობს შეისწავლოს ისინი, იღებს რა, როგორც ჩანს, მაგალითს განათლების სამინისტროსაგან, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს პიონერული ორგანიზაციების მუშაობას.

საკმაო ყურადღებას არ აქცევს სასკოლო ორგანიზაციების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებას პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტიც.

რესპუბლიკის სკოლებში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მომზადება პოლიტექნიკური სწავლებისათვის. საშუალო და რვაწლიანი სკოლების თითქმის ნახევარს არა აქვს ფიზიკის ან ქიმიის კაბინეტები, ხოლო არსებული კაბინეტები უზრუნველყოფილი არ არიან უახლესი ხელსაწყოებითა და მოწყობილობით. დამყარებული არ არის კავშირი სკოლებსა და საწარმოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს შორის. მოსწავლეებს სუსტად უნერგავენ შრომის სიყვარულს. განათლების ორგანოებმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების დახმარებით დიდი მუშაობა უნდა გასწიონ ამ მიმართულებით.

მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებაში, მათი გონიერული დასვენების მოწყობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს სკოლისგარეშე დაწესებულებანი ასრულებენ. საჭიროა განმტკიცებულ იქნას მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — მიეცეთ მათ საჭირო შენობები, მომარაგებულ იქნან მასალებით, ინსტრუმენტით, ხელსაწყოებით.

ჯერ კიდევ სუსტია მოსწავლეთა დისციპლინა. ეს ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ ბევრ მშობელს თავი დაუნებებია ბავშვების აღზრდისათვის, ეს საქმე მთლიანად და სავსებით მიუნდვია სკოლისათვის.

ჩვენი ამოცანაა ყველა ღონისძიებით გავაუმჯობესოთ იდეოლოგიური მუშაობა ახალგაზრდობის მასებში, აღვზარდოთ ახალგაზრდობა კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ახალგაზრდობის იდეოლოგიურ აღზრდაში დიდი როლი ეკუთვნით ჩვენს პოეტებსა და მწერლებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ნაწარმოებებს ქმნიან ახალგაზრდობის შესახებ და ახალგაზრდობისათვის.

ამხანაგებო! კომკავშირის ძალა პარტიული ხელმძღვანელობაა. კომკავშირი მუდამ გრძნობს ჩვენი დიადი პარტიის მზრუნველ, წარმმართველ ხელს. ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა მთელ ძალებს ახმარს სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, კომუნიზმის საქმისადმი სამსახურს.

ამხ. ო. ნ. აივაზაშვილის სიტყვა

ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობის მერგოლური

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა გადაუდებელ ამოცანად დაგვისახა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მკვეთრი აღმავლობა. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან ამ პასუხსაგები და საპატიო ამოცანის შესრულებისათვის.

ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად მაღლდება სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის დონე. სამუშაოთა 80 პროცენტზე მეტი ახლა მექანიზებულია. მრავლდება მოწინავეთა, ნოვატორთა რიგები. მაგალითად, მევენახეობის ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ნ. კვატაშვილი ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 88 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა. ამავე ბრიგადის წევრებმა გ. ფარემუზომა, გ. სააკაშვილმა ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს და თვითეულმა მათგანმა პრემია-დანამატის სახით 13 ათას მანეთზე მეტი მიიღო.

ცალკეულმა ბრიგადებმა მარცვლეული კულტურების მაღალი მოსავალი მოიყვანეს. კოლმეურნეებს ნ. შუშანაშვილს, ს. კვიცაშვილს, ვ. ძილიხანაშვილს, ა. მოსიაშვილს მოსავლიანობის გადიდებისათვის მარტო პრემია-დანამატის სახით თვითეულს 1,5 ტონაზე მეტი სიმინდი ერგოთ.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი ქისტაურელ მეაბრეშუმეთა თაოსნობა აბრეშუმის ჭიის ჩქაროსნული გამოკვების საქმეში. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად პარკის დამზადების გეგმა ჩვენმა კოლმეურნეობამ შარშან 185 პროცენტით შეასრულა. რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, სახელმწიფოს ჩააბარა 879 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი, ნაცვლად 365 კილოგრამისა. ჩავები რა შეჯიბრებაში მახარაძის რაიონის მეაბრეშუმე ნადია ბერძენიშვილთან, ჭიის კვება 20 დღეში დავამთავრე.

ჩვენთან ჭიანურდება ტიპური საჭიეების მშენებლობა, ნაკლები ყურადღება ექცევა ჯიშიანი თუთის ხეების („საქართველო“, „თბილისური“, „ქუთათური“ და სხვ.) ფართოდ გაშენებას.

ახლა, როცა ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დასახა მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობის გადაუდებელი ამოცანა, ჩვენ ვალდებული ვართ განვახორციელოთ ქმედითი ღონისძიებანი იმისათვის, რომ წელსვე სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ მეცხოველეობის განვითარებაში, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მკვეთრი ამაღლების საქმეში.

აუცილებელია დიდი ყურადღება მიექცეს ახმეტის კეთილმოწყობას, სახელდობრ: დაიგეგმოს სასტუმროს, საცხოვრებელი სახლების, საშუალო სკოლისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მშენებლობა.

ჩვენი რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელნი ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა წარმატებით შეასრულონ ის ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს.

ვუხელმძღვანელოთ სოფლის მეურნეობას კვალიფიციურად, საქმის ცოდნით

★ ★ ★ ★ ★ ★

ჩვენი მტს-ის ზონაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად პარტიის გურჯაანის რაიკომი გასული წლის დეკემბრიდან შეუდგა თავისი აპარატის გარდაქმნას. თვითეული მტს-ის ზონაში ახლა მუშაობს პარტიულ მუშაკთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას რაიკომის მდივანი. მე და რაიკომის ინსტრუქტორებს ვ. მაყაშვილსა და ე. სხირტლაძეს ველისციხის მტს-ის ზონაში გვიხდება მუშაობა. თუმცა ჯერ ადრეა ვიმსჯელოთ ახალ პირობებში ჩვენი საქმიანობის შედეგებზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია: პარტიული აპარატის გარდაქმნამ დიდი პერსპექტივები დასახა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. ჩვენ ყოველდღიურად ვხედებით პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, პრაქტიკულად ვეხმარებით მათ მუშაობის გარდაქმნაში.

ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესებით, მექანიზატორებთან მჭიდრო თანამეგობრობით ველისციხის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობები ყოველწლიურად ზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა შესაძლებლობა და საშუალება როდია გამოყენებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ეს ყველაზე მეტად იგრძნობა მეცხოველეობაში, რომელიც ჩვენთან სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილ დარგად ითვლება.

მეცხოველეობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მტს-ისა და კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები.

პარტიის რაიკომმა ერთგვარი მუშაობა გასწია სპეციალისტთა კადრებით მტს-ის განსამტკიცებლად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმამდე ველისციხის მტს-ში მხოლოდ 11 სპეციალისტი იყო, ახლა კი 31 სპეციალისტია, რომელთაგან 25 უმაღლესი განათლებით არის. ბევრი სპეციალისტი სწრაფად დაეუფლა მინდობილ საქმეს. ნაყოფიერად წარმართავს მუშაობას მტს-ის მთავარი ინჟინერი კომუნისტი დ. სარიევი. მისი ინიციატივით და პირადი მონაწილეობით მტს-ში ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი მოეწყო პროგრესული კვანძური მეთოდით. აღსანიშნავია სახელოსნოს გამგის კომუნისტ გ. კასრელიშვილის საქმიანობაც.

მუდმივი კადრების შექმნის შედეგად მტს-ში დიდად გაიზარდა მექანიზატორთა რიცხვი. მათი ნაწილი მზადდება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ველისციხის სკოლაში. მექანიზატორთა უმრავლესობა ორ და სამ პროფესიას ფლობს.

მტს-ის ზონაში რაიკომის მუშაკთა ჯგუფის წინაშე წამოიჭრება ხოლმე ისეთი საკითხები, რომლებიც სწრაფად უნდა გადაწყვიტოთ სხდომისა და კრების გაუმართავად. ავიღოთ ერთი მაგალითი. შაშიანის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში მწყემსები აკლდათ. კოლმეურნეობაში ამაზე ბევრი კრება და სხდომა მოიწვიეს, მიიღეს გრძელი დადგენილებანი, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. ბოლოს საკმარისი გახდა გვესაუბრა რამდენიმე კომუნისტთან, აგვეხსნა საქმის ვითარება, და მათ სურვილი გამოთქვეს ფერმაში მწყემსებად წასულიყვნენ.

ამ უკანასკნელ ხანებში მტს-ის პარტიული ორგანიზაცია რიცხობრივად დიდად გაიზარდა. არის იმის შესაძლებლობა, რომ უფრო ფართოდ გაიშალოს პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით პოლიტიკური აგიტაციის მოწყობაში. პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა აამაღლოს თავისი მომთხოვნელობა კომუნისტებისადმი, პოლიტიკური აგიტაცია მიმართოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისაკენ, მტს-ის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაჩაღებისაკენ.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მუშაობის დონის ამაღლება. ამ მიმართულებითაც გადადგმულია პირველი ნაბიჯები, მაგრამ ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ ბევრია. ყველა კომუნისტი როდი ასრულებს ავანგარდულ როლს საკოლმეურნეო წარმოებაში, აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი პარტორგანიზაციების ბიხრივ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში, ზოგიერთი კარგი გადაწყვეტილება შეუსრულებელი რჩება.

პარტიული აპარატის გარდაქმნა მოითხოვს აღმოვფხვრათ სასხდომო ფუსფუსი. უკანასკნელ ხანს ინსტრუქტორები მტს-ის ზონაში აღარ მუშაობენ მრავალი რეზოლუციის პროექტის მოსამზადებლად, არამედ ცოცხალ პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებენ. ეს საშუალებას გვაძლევს ბოლო მოვუღოთ კანცელარიულ ხელმძღვანელობას. წინათ რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი კოლმეურნეობაში ნაკლოვანებათა გამოვლინებისას თხზავდა მოხსენებიანს ბარათს, ადგენდა რეზოლუციის პროექტს და საკითხი ბიუროზე გამოჰქონდა, პრაქტიკული დახმარებისათვის კი არ ზრუნავდა. ახლა კი ეს ასე აღარ არის. მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი. რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ვ. მაყაშვილი შაშიანის კოლმეურნეობაში მივიდა. მან ნახა, რომ ჯიშიანი პირუტყვის ბინა ვიწრო და შეუფერებელი იყო. შეკრიბა კოლმეურნეობის კომუნისტები და ესაუბრა მათ პირუტყვის გამოზამთრების მდგომარეობაზე. ეს საკითხი განხილულ იქნა ჯერ პარტბიუროს, ხოლო შემდეგ გამგეობის სხდომაზე. მიღებულ იქნა ენერგიული და ქმედითი ღონისძიებანი და საქმეც გამოსწორდა.

პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ნ. ჯოხაძე,
საქართველოს კ. პ. გურჯაანის რაიკომის მდივანი ველისციხის მტს-ის ზონაში.

დიდი საქმის დასაწყისი

ოჩამჩირის მეორე მტს-ის მომსახურების ცხრამეტი კოლმეურნეობიდან თექვსმეტი მილიონერია. ამ წარმატების საფუძველია თავდადებული შრომა, მტს-ის ქმედითი დახმარება. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ.

ახალ სამეურნეო წელს ახალი შემოქმედებითი შრომა გაჩაღდა მტს-სა და მისი მომსახურების კოლმეურნეობებში. 1 იანვრიდან მუშაობას შეუდგა პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მდივანი ამ მტს-ის ზონაში ამხ. დ. ცხაკაია. იგი სპეციალობით აგრონომია. იგი ახლოს გაეცნო მტს-ისა და კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას. შეისწავლა ზოგიერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა. მაგალითად, სოფელ ტამიშის კოლმეურნეობაში ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჩამორჩებოდა. რაიკომის რჩევით კოლმეურნეებმა გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს გამოცდილი მუშაკი გ. ლუკავა. ამის შემდეგ კოლმეურნეობაში უფრო გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება.

რაიკომის მუშაკთა ჯგუფის დახმარებით სოფელ კვიტოფულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში პირუტყვი უზრუნველყოფილია სადგომებით, საკვები ადგილზე იქნა მიზიდული. ასე იყო აგრეთვე ახალი კინდღლის კოლმეურნეობა „წინსვლაში". თებერვლის პირველ რიცხვებში შესწავლილ იქნა გაზაფხულისათვის თესლეულის მომზადების მდგომარეობა. რაიკომის ბიუროს მიერ დასახული ღონისძიების განხორციელებით ყველა კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია კონდიციური თესლით.

რაიკომის მდივანს აქვს სპეციალურად შემუშავებული გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია, თუ რომელ კოლმეურნეობაში, ბრიგადაში როდის უნდა მოეწყოს მოწინავე გამოცდილების პრაპაგანდა. მტს-ის დირექტორმა ა. მარხულიამ უკვე მოაწყო საუბრები ხუთ კოლმეურნეობაში. ის ფართოდ აცნობს მექანიზატორებს ცნობილი მოწინავე ადამიანის პაშა ანგელინას მდიდარ გამოცდილებას.

მტს-ის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 32 წევრს აერთიანებს, სათავეში უდგას სოციალისტური შეჯიბრების საქმეს. ამას წინათ პარტიულმა ორგანიზაციამ მტს-ის დირექტორთან და რაიკომის მდივანთან ერთად შეიმუშავა სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი, სადაც ნათქვამია: 3.335 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 26 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 25-სა. კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესონ 400 ჰექტარი და თვითეულ ჰექტარზე სიმინდის მოსავლიანობა აიყვანონ 30 ცენტნერამდე.

თავდადებულად შრომობენ სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ თვითეულ შრომადღეზე 32 მანეთი გაანაწილეს. მოსავლიანობის გადიდებისათვის ენერგიულად იბრძვიან გამოცდილი აგრონომი ნ. კვარაცხელია, მეჩაიე ნოვატორები ცაცა ქარდავა, ეკატერინე ქარაია, ა. ვეკუა, ი. ჯომიდავა და სხვები. ამ კოლმეურნეობაში ორი ბრიგადა მილიონერია. ცაცა ქარდავას პირობა აქვს დადებული, რომ მისი რგოლი წელს მილიონერი გახდება.

ორი კვირაა, რაც პარტიის რაიკომში შეიქმნა პარტიულ მუშაკთა ჯგუფი რაიკომის მდივნის მეთაურობით. ამ ჯგუფში ხუთი ინსტრუქტორია. თვითეული მათგანი 3-4 კოლმეურნეობას ემსახურება. ინსტრუქტორები ს. სააკიანი, გ. ჯიგინნაია, ვ. თარბა, მ. ბიგვავა, კ. გეგია უშუალოდ კოლმეურნეობებში არიან, იქვე ცხოვრობენ. ისინი კონკრეტულად ეხმარებიან საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებს.

ცხადია, ამ მოკლე ხანში გაწეული მუშაობა ჯერ-ლოდ საქმის დასაწყისია. დიდი და პასუხსაგები სამუშაო წინ არის.

ამოცანა ის არის, რომ რაიკომის მდივანმა მტს-ის ზონაში და რაიკომის მუშაკთა ჯგუფმა მიაღწიონ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მკვეთრად გაძლიერებას, ყოველი ღონისძიებით დარაზმონ მშრომელები ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

ნ. ჯანჯღავა,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

სასოფლო რაიკომი მუშაობის გარდაქმნის გზით

პარტიის გორის რაიკომის მუშაკთა ჯგუფი ახალსოფლის მტს-სა და 11 კოლმეურნეობაში, რომელსაც მტს-ი უწევს მომსახურებას, დიდ მუშაობას ეწევა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მოსამზადებლად. პარტიის რაიკომის ინსტრუქტორები, რომლებსაც მიჩენილი აქვთ—2-3 კოლმეურნეობა, დაეხმარნენ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს კადრების სწორად განაწილებაში, საკოლმეურნეო წარმოების მთავარ უბნებზე კომუნისტების გაგზავნაში. დიდი ყურადღება ექცევა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს. შარშან სოფელ ახრისის კოლმეურნეობა „წითელმა ვარსკვლავმა" საგაზაფხულო თესვისათვის ცუდი მომზადების გამო ვერ შეასრულა ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების მხრივ. ახლა ეს კოლმეურნეობა სავსებით მზად არის მინდვრად გასასვლელად, თესლი გაწმენდილია და აკმაყოფილებს კონდიციის მოთხოვნებს. შეკეთებულია მტს-ი მოწინავეთა რიგებში დგას. 25 წლის წინათ, საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ დღეებში იგი ერთ-ერთი პირველი ჩამოყალიბდა ჩვენს რესპუბლიკაში და მას შემდეგ ღირსეულად ემსახურება კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეს. მტს-ის კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა 1953 საეურნეო წელი, საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა, დაზოგა 17 ტონაზე მეტი საწვავ-საცხები მასალა, გააუმჯობესა კოლმეურნეობათა მომსახურება, 92 პროცენტამდე აამაღლა ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. აქ ფართოდ იყენებენ შრომის მოწინავე მეთოდებს: საათობრივ გრაფიკს, სამუშაოთა კომპლექსს, რადიოსადისპეტჩერო სამსახურს, ტრაქტორების შეკეთების კვანძურ მეთოდს. ყოველივე ამის შედეგად მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და შრომადღის ღირებულება. არადეთის, მოხისის, ქვენატკოცის, ავლევისა და ფცის კოლმეურნეობებში შარშან შრომადღეზე ფულისა და ბოსტნეულის გარდა 7-8 კილოგრამი მარცვლეული განაწილდა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ მტს-ი საგრძნობლად განმტკიცდა. აგარის მტს-ი მოწინავეთა რიგებში დგას. 25 წლის წინათ, საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ დღეებში იგი ერთ-ერთი პირველი ჩამოყალიბდა ჩვენს რესპუბლიკაში და მას შემდეგ ღირსეულად ემსახურება კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეს. მტს-ის კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა 1953 საეურნეო წელი, საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა, დაზოგა 17 ტონაზე მეტი საწვავ-საცხები მასალა, გააუმჯობესა კოლმეურნეობათა მომსახურება, 92 პროცენტამდე აამაღლა ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. აქ ფართოდ იყენებენ შრომის მოწინავე მეთოდებს: საათობრივ გრაფიკს, სამუშაოთა კომპლექსს, რადიოსადისპეტჩერო სამსახურს, ტრაქტორების შეკეთების კვანძურ მეთოდს. ყოველივე ამის შედეგად მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და შრომადღის ღირებულება. არადეთის, მოხისის, ქვენატკოცის, ავლევისა და ფცის კოლმეურნეობებში შარშან შრომადღეზე ფულისა და ბოსტნეულის გარდა 7-8 კილოგრამი მარცვლეული განაწილდა.

როცა ისევ ძველებურად ზეპირეულად ხელმძღვანელობენ

ხუთმა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა ისტორიული დადგენილება მიიღო. ეს დრო ცოტა არ არის იმისათვის, რომ პარტიის სტალინირის რაიკომს გარდაექმნა სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, მტს-ებსა და კოლმეურნეობებში გადაჯრით აემაღლებინა ორგანიზატორული მუშაობის დონე, დახმარებოდა კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს ნაკლოვანებათა დაძლევაში.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ სტალინირის რაიონში ჯერ კიდევ ცოტა კეთდება სოფლად ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად, აღმოფხვრილი არ არის კოლმეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. თვენახევარია რაიკომის მდივნებად მტს-ების ზონების მიხედვით არჩეული არიან სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს ყოფილი უფროსი ამხ. ა. მკრტჩიანი და პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი ინსტრუქტორი ამხ. ნ. გაბარაევი. მოსალოდნელი იყო, რომ პარტიის რაიკომი აქამდე დაამთავრებდა ინსტრუქტორთა ჯგუფების შექმნას, დაუახლოვებდა მათ კოლმეურნეობებს, მტს-ებს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ქსუ-ისის მტს-ის ზონაში დღემდე შეურჩეველია სამი ინსტრუქტორი. ერთი ინსტრუქტორი აკლიათ სტალინირის მტს-ის ზონამაც. ამასთან ამ ზონაში ინსტრუქტორთა ჯგუფში სამუშაოდ გაგზავნეს ორი ბუხჰალტერი, რომლებსაც, რაიკომის მდივნის ამხ. გაბარაევის სიტყვით რომ ვთქვათ, პარტიული მუშაობის ელემენტარული ცოდნაც არა აქვთ.

მტს-ების მუშაობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოქნილ მუშაობაზე, იმაზე, თუ რამდენად შემოქმედებითად დარაზმავენ ისინი მექანიზატორებს მოსავლიანობის ასამაღლებლად, მეცხოველეობის განვითარებისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. ამ მხრივ არასახარბიელო სურათია სტალინირის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში. შარშან კოლმეურნეობებში არ შესრულებულა მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გეგმა, ჩაიშალა ყველა სახის საკვების დამზადების დაგვალება. პირუტყვი მოთავსებულია უმთავრესად ძველ ფარეხებსა და გომურებში, არ ეძლევა ნოყიერი და წვნიანი საკვები. ყოველივე ამის გამო უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე ორასამდე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი დაიხოცა.

ამჟამად მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის ემზადებიან. ბევრგან დროზე მოიმარაგეს და გაწმინდეს საკმარისი თესლი. მაგრამ ეს ყველა კოლმეურნეობაზე არ ითქმის. მაგალითად, კუსრეთის კოლმეურნეობას დასათესად სრულიად არა აქვს მომარაგებული საგაზაფხულო ხორბლის თესლი, ხოლო გვრიოში ნახევარზე მეტი თესლი უკონდიციოა. თითქმის ყველა კოლმეურნეობაში აკლიათ კარტოფილისა და ბოსტნეულის თესლი.

მექანიზატორებისათვის შექმნილი არ არის მუშობის ნორმალური პირობები.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ საკითხებით უწინარეს ყოვლისა დაინტერესდებოდნენ მტს-ის პარტიული ორგანიზაცია და რაიკომის მუშაკთა ჯგუფი. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თავი რომ დავანებოთ ინსტრუქტორებს, რომლებიც ფაქტიურად მუშობას არც კი შესდგომიან, თვით რაიკომის მდივანი ამხ. ნ. გაბარაევი ეშვიათად დადის ადგილებზე. მტს-ის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც სისხლსავსე, მჩქეფარე ცხოვრებას განზე უდგას, ვიწრო საქმიანობით იფარგლება. პარტიული ორგანიზაციის მდივან ლ. კაჯაევისათვის დახმარების ნაცვლად, რაიკომი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კამპანიების დროს მას ხშირად გზავნიდა ხანგრძლივი ვადით თავის რწმუნებულად ცალკეულ კოლმეურნეობებში.

აჩაბეთის კოლმეურნეობა რაიონში ჩამორჩენილად ითვლება. შრომის ორგანიზაციის დაბალი დონის გამო შარშან აქ ვერ შესრულდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის გეგმები. საზოგადოებრივი პირუტყვი მოთავსებულია კერძო ბინებში და საკმაო საკვები არ ეძლევა. სერიოზული დახმარება ესაჭიროება საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას და მის მდივანს ზ. ხეთაგურს. ცხადია, კოლმეურნეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობისათვის პასუხისმგებელია ზონის ინსტრუქტორი ვ. კოპაძე, მაგრამ იგი დღემდე მხოლოდ ორჯერ ჩავიდა აჩაბეთში, ორჯერვე რაიკომში შესული საჩივრის შესაბამადვილად, ხოლო კოლმეურნეობის ეკონომიკის შესწავლა, ადამიანების გაცნობა მას არც მოჰგონებია.

იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამოცანა, საჭიროა საკოლმეურნეო წარმოებაში გაბედულად დაინერგოს და გავრცელდეს მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები. სტალინირის მტს-ის ზონაში ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობები, რომლებმაც მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. სოფელ ძარწემის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის (ბრიგადირი ვ. ჭოველიძე) მეჭარხლეებმა შარშან ერთ ჰექტარზე ნაცვლად 180 ცენტნერისა 327 ცენტნერი ჭარხალი მიიღეს. ამაზე ბევრად უკეთესი მოსავალი მოიყვანეს ნადია გოგიძისა და თამარ ჭოველიძის რგოლების მეჭარხლეებმა. მაგრამ მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა, გავრცელება და დანერგვა აქ მივიწყებულია.

პარტიის სტალინირის რაიკომმა და რაიკომის მდივნებმა მტს-ების ზონების მიხედვით ბოლო უნდა მოუღონ სერიოზულ ჩამორჩენას სოფლის მეურნეობაში და მიაღწიონ მუშაობის ახლებურად გარდაქმნას.

გ. ოქრუაშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

მტს-ების მუშაკთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვის პასუხად აგარელმა მექანიზატორებმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი აკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს რუსისა და ხაშურის მტს-ების კოლექტივები. **სურათზე:** პარტიის ქარელის რაიკომის მდივანი აგარის მტს-ის ზონაში ამხ. ვ. გონჭიშვილი (ცენტრში) ესაუბრება მტს-ის სპეციალისტებსა და მექანიზატორებს შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ღონისძიებებზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

პირველი ნაბიჯები

დიდი ხანი არ არის, რაც ქარელის რაიონში დაიწყო რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნა. მტს-ების მიხედვით შეიქმნა რაიკომის მუშაკთა სამი ჯგუფი. ხელმძღვანელობა ერთი ასეთი ჯგუფისა, რომელიც აგარის მტს-ის ზონაში მოქმედებს, მე დამეკისრა. ჩვენ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები მოწმობს, რომ რაიკომის აპარატი ახლა უფრო ოპერატიულად მუშაობს, უფრო ქმედითად ეხმარება კოლმეურნეობებსა და მტს-ებს.

რით დავიწყეთ მუშაობა და რა გავაკეთეთ დღემდე? პირველ რიგში ჯგუფის მუშაკთა შორის გავანაწილეთ სამოქმედო უბნები. შორეულ და ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, როგორიც თამარაშენისა და კნოლევის კოლმეურნეობებია, მივამაგრეთ უფრო გამოცდილი და ენერგიული მუშაკი — რაიკომის ინსტრუქტორი ა. ხაჭაპურიძე. ამავე დროს ახალგაზრდა პარტიული მუშაკი ა. ღვინიაშვილი, რომელსაც ჯერ არ შეუძენია სათანადო გამოცდილება, მივამაგრეთ მოხისის, ქვენატკოცისა და არადეთის მოწინავე კოლმეურნეობებს. ჯგუფის ყველა წევრი — რაიკომის ინსტრუქტორები ა. ღვინიაშვილი, ა. ხაჭაპურიძე, ი. დაბრუნდაშვილი ახლა მუდმივად პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში იმყოფებიან, პასუხს აგებენ კოლმეურნეობებში არსებული მდგომარეობისათვის.

მუშაობის გაუმჯობესებამ საშუალება მოგვცა ღრმად შევისწავლოთ მტს-ისა და კოლმეურნეობების მდგომარეობა, ვიყოთ მათი ყოველდღიური საქმიანობის კურსში, დროულად გამოვავლინოთ და მივიღოთ ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რაიკომის ინსტრუქტორ ი. დაბრუნდაშვილთან და მტს-ის პარტბიუროს მდივან გ. დარსაძესთან ერთად შევისწავლე სოფელ აბანოს მეოთხე ხუთწლედის სახელობის კოლმეურნეობა. ფერმებში ძალიან ცუდი მდგომარეობა აღმოჩნდა, საკვები არ ჰქონდათ, პირუტყვის გამოზამთრება საფრთხეში იყო. მდგომარეობის გამოსასწორებლად მეცხოველეობის ფერმის მუშაკებთან პოვაწყეთ საუბარი, ფერმაში სამუშაოდ გავგზავნეთ კომუნისტები უ. ცაბაძე, ნ. ცაბაძე და კომკავშირელი გ. ცაბაძე. დავეხმარეთ კოლმეურნეობას პირუტყვისათვის საკვების შოვნასა და მიზიდვაში.

ავლევის, აბისის, ფცის კოლმეურნეობების მდგომარეობის შესწავლისას გამოირკვა, რომ სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა კომუნისტებისა და საერთოდ საკოლმეურნეო კადრების მიზანშეწონილად გამოყენებას და განწილებას საწარმოო უბნების მიხედვით. ჩვენ მათ დავეხმარეთ ამ მნიშვნელოვან საქმეში. კომუნისტები, კომკავშირელები და მოწინავე კოლმეურნეები დავაყენეთ ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფერმების გაძლიერებას პარტიული და კომკავშირული ძალებით.

20 თებერვალს ქვენატკოცის კოლმეურნეთა საერთო კრებაზე მოხსენება გაკეთე საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების მდგომარეობისა და მეცხოველეობის აღმავლობის საკითხებზე. კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ბრიგადირები, კოლმეურნეები. მათ ილაპარაკეს გაწეულ მუშაობაზე, წამოაყენეს თავიანთი წინადადებანი, გამოავლინეს ახალი საწარმოო რეზერვები. ქვენატკოცის კოლმეურნეობა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ყოველმხრივ მომზადებულია, იარაღ-მანქანები შეკეთებულია, თესლი მომარაგებულია და აყვანილია კონდიციამდე, მინერალური და ორგანული სასუქი გატანილია მინდვრად, გამწევი ძალა კარგად არის მოვლილი. ამავე დროს არასახარბიელო მდგომარეობაა ფერმებში. არანორმალური კვებისა და ცუდი მოვლის შედეგად დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. ამ შდგომარეობის გამოსასწორებლად კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინონ მეცხოველეობის ფერმებისადმი, გააუმჯობესონ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, განახორციელონ ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, შექმნან მტკიცე საკვები ბაზა და მოაწყონ პირუტყვის ბაგურ-ბანაკური კვება. გარდა ამისა, კოლმეურნეებმა იკისრეს დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, გაადიდონ ჭარხლის მოსავლიანობა 500 ცენტნერამდე, ხორბლისა — 20 ცენტნერამდე და სიმინდისა — 25 ცენტნერამდე ჰექტარზე. ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით მათ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოხისისა და არადეთის კოლმეურნეები.

ახლახან გაიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რომლებმაც გვიჩვენა კოლმეურნეობათა მთელი საქმიანობის მკაფიო სურათი. გამოირკვა, რომ აბანოს, ბრეძის, კნოლევისა და თამარაშენის კოლმეურნეობებში ვერ იყენებენ მაღალი მოსავლის მიღებისათვის არსებულ ყველა რეზერვს, ირღვევა დისციპლინა, მოუგვარებელია შრომის ორგანიზაცია. სუსტად მუშაობენ ამ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები. მათი მდივნები ნაკლებმომზადებული არიან და მეტ დახმარებას საჭიროებენ. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ამ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესება პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა. აგარის მტს-ი მოწინავეთა რიგებში დგას. 25 წლის წინათ, საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ დღეებში იგი ერთ-ერთი პირველი ჩამოყალიბდა ჩვენს რესპუბლიკაში და მას შემდეგ ღირსეულად ემსახურება კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეს. მტს-ის კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა 1953 საეურნეო წელი, საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა, დაზოგა 17 ტონაზე მეტი საწვავ-საცხები მასალა, გააუმჯობესა კოლმეურნეობათა მომსახურება, 92 პროცენტამდე აამაღლა ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. აქ ფართოდ იყენებენ შრომის მოწინავე მეთოდებს: საათობრივ გრაფიკს, სამუშაოთა კომპლექსს, რადიოსადისპეტჩერო სამსახურს, ტრაქტორების შეკეთების კვანძურ მეთოდს. ყოველივე ამის შედეგად მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და შრომადღის ღირებულება. არადეთის, მოხისის, ქვენატკოცის, ავლევისა და ფცის კოლმეურნეობებში შარშან შრომადღეზე ფულისა და ბოსტნეულის გარდა 7-8 კილოგრამი მარცვლეული განაწილდა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ მტს-ი საგრძნობლად განმტკიცდა. აგარის მტს-ი მოწინავეთა რიგებში დგას. 25 წლის წინათ, საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ დღეებში იგი ერთ-ერთი პირველი ჩამოყალიბდა ჩვენს რესპუბლიკაში. და მას შემდეგ ღირსეულად ემსახურება კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეს. მტს-ის კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა 1953 საეურნეო წელი, საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა, დაზოგა 17 ტონაზე მეტი საწვავ-საცხები მასალა, გააუმჯობესა კოლმეურნეობათა მომსახურება, 92 პროცენტამდე აამაღლა ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. აქ ფართოდ იყენებენ შრომის მოწინავე მეთოდებს: საათობრივ გრაფიკს, სამუშაოთა კომპლექსს, რადიოსადისპეტჩერო სამსახურს, ტრაქტორების შეკეთების კვანძურ მეთოდს. ყოველივე ამის შედეგად მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და შრომადღის ღირებულება. არადეთის, მოხისის, ქვენატკოცის, ავლევისა და ფცის კოლმეურნეობებში შარშან შრომადღეზე ფულისა და ბოსტნეულის გარდა 7-8 კილოგრამი მარცვლეული განაწილდა.

ამ მიმართულებით საგრძნობლად გააძლიერა მუშაობა მტს-ის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი გ. დარსაძე), რომელიც იჩენს ინიციატივას, ენერგიულად იბრძვის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ეხმარება მტს-ის დირექციას ახალი საწარმოო რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში. პარტიულმა კრებამ განიხილა ტრაქტორების საზამთრო რემონტის მიმდინარეობის საკითხი. გამოირკვა, რომ გეგმა არ სრულდებოდა, მუშაობას აფერხებდა სათადარიგო ნაწილების უქონლობა, იყო დის

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა 1954 წელი დიდი შრომითი ალმავლობით დაიწყეს. ფართოდ გაჩაღდა შრომითი შეჯიბრება პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დიდ წარმატებებს აღწევენ ერფურტის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ლითონის მსხვილი დეტალების დასამუშავებელი ჩარხებისა და აგრეგატების, აგრეთვე საგლინავი მოწყობილობის გამოშვება. ს ურ ა თ ს ზ ე: 400-ტონიანი ჰიდრავლიკური წნეხების დამამზადებელი საამქროში.

ცენტრალბილდის ფოტო.

გულგარეთის ქვანახშირის მრეწველობა მეორე ხუთწლედში

სოფია. მეორე ხუთწლედში ბულგარეთში გათვალისწინებულია ქვანახშირის ამოღების მნიშვნელოვნად გადიდება. ლიგნიტის ამოღება უნდა გადიდდეს დაახლოებით 2,7-ჯერ, ფურა ქვანახშირისა — 60 პროცენტით, შავი ქვანახშირისა — 2,5-ჯერ, ანტრაციტისა — ერთიოორად. ბულგარეთის კომუნისტური პარტია და სახალხო მთავრობა იღებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ გაფართოოონ ბულგარეთის ქვანახშირის ახალი რაიონები — მარიცის, ბობოდოლისა და სხვა ადგილები.

მარიცის აუზი სახალხო ხელისუფლების წლებში ლიგნიტური ქვანახშირის დიდი მიმწოდებელი გახდა. იგი სათბობით ამარაგებს სტალინის სახელობის ქიმიურ კომბინატს, ცემენტის ქარხანა „ვულკანს", ვიკო ჩერვენკოვის სახელობის ელექტროსადგურსა და დიმიტროვგრადის სხვა საწარმოებს. ამოშავდა ახალი შახტი. 1953 წელს მარიცის აუზში დიდი მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდა შახტების შემდგომი გაფართოებისა და ტექნიკური აღჭურვისათვის. უახლოეს დროში აქ ამუშავდება ახალი შახტი „მერიჩლერი — 2", დაიწყება მზადება მთელი რიგი სხვა შახტების ასამუშავებლად.

წელს მარიცის აუზში დიდი საბინაო მშენებლობა ჩაღდება. მეშახტეებისათვის აშენდება ახალი სახლები, რომლებშიც 400 ბინა იქნება.

(საკდესი).

პოლონეთის ქალაქების განვითარება და ზრდა

ვარშავა, 24 თებერვალი. (საკდესი). სწრაფად მიმდინარეობს პოლონეთის დასავლეთი ქალაქის ზელიონაია გურას აღდგენა და ზრდა. პოლონეთთან შეერთებამდე ზელიონაია გურაში მრეწველობა თითქმის არ იყო. ახლა ქალაქში თითქმის 15 ათასით მეტი მცხოვრებია, ვიდრე ომამდე.

სახალხო ხელისუფლების 9 წლის მანძილზე ზელიონაია გურაში აშენდა ორი დიდი სამრეწველო საწარმო—საფეიქრო კომბინატი „პოლსკა ველნა" და ფოლადის კონსტრუქციების ქარხანა „ზასტალი", რომლებიც წლითიწლობით ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას. მაგალითად, ქარხანა „ზასტალი" ამჟამად მეტ სატვირთო ვაგონებს უშვებს, ვიდრე ომის წინ მთელ პოლონეთში უშვებდნენ.

ამჟამად ზელიონაია გურა კვლავ გახდა ღვინის მრეწველობისა და ხალის წარმოების უდიდესი ცენტრი. ქალაქის ცხოვრება და მისი სახე შკვეთრად შეიცვალა. აშენდა მთელი რიგი დიდი საგანმანათლებლო დაწესებულებანი. მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფესიული და ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა, გაიხსნა ქალაქის ისტორიაში პირველი თეატრი, მუშაობენ კლუბები და ბიბლიოთეკები. შემუშავებულია ქალაქის შემდგომი მშენებლობის გეგმა.

ჩეხოსლოვაკიის მეშახტეთა შრომითი წარმატებები

პრაღა. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ოსტრავა-კარვინის ქვანახშირის აუზში შახტ „ვაცლავის" მაღაროელებმა გასული წლის მუშაობისათვის მიიღეს ჩეხოსლოვაკიის მეშახტეთა უმაღლესი ჯილდო — საპატიო დროშა. 14 თებერვალს საზეიმო კრებაზე შახტის კოლექტივს დროშა გადასცა სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრმა იოზეფ ინინაშმა.

1953 წელს შახტ „ვაცლავის" მაღაროელებმა აღმოფხვრეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც მათ ხელს უშლიდნენ ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებაში. შახტში მოეწყო ქვანახშირის ამოღება ციკლური გრაფიკით. დაინერგა კომპლექსური მეთოდი. დახრილ ფენებში მუშაობა დაიწყეს საყელავმა მანქანებმა, რის მეოხებით მნიშვნელოვნად გადიდდა ქვანახშირის ამოღება. შახტის მაღაროელებმა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს 5.000 ტონა ქვანახშირი.

1954 წელს მაღაროელებმა გადაწყვიტეს გეგმის გადამეტებით ამოიღონ 13.000 ტონა ქვანახშირი და მოამზადონ გეგმის გადამეტებით ქვანახშირის ამოსაღებად 365 მეტრი შტრეკი.

(საკდესი).

ოტო გროტეოლის განცხადება მთავრობის სახელით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატაში

ბერლინი, 25 თებერვალი. (საკდესი). გამოვიდა რა გუშინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პალატის სხდომაზე მთავრობის განცხადებით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა ანალიზი გაუკეთა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის მსვლელობასა და შედეგებს და აღნიშნა ამოცანები, რომლებიც ბერლინის თათბირის შედეგებიდან გამომდინარეობენ გერმანული ხალხისათვის და, კერძოდ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის.

გროტეოლმა თავისი განცხადების დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოთხი სახელმწიფოს ბერლინის თათბირმა მიიღო ზოგიერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დადებითი მნიშვნელობა, თქვა გროტეოლმა, უეჭველია უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე გამორკვეულ იქნა ოთხი სახელმწიფოს პოზიციები მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების მიმართ, აგრეთვე იმიტომ, რომ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მთელ რიგ საკითხებზე მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი შეთანხმებანი. გარდა ამისა, გერმანელ ხალხს შეუძლია თათბირის შედეგებიდან მნიშვნელოვანი გაკვეთილები გამოიტანოს.

გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თათბირმა გერმანელი ხალხის წინაშე ცხადყო მოლაპარაკებისა და შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა, რომელთადმი მისწრაფება საფუძვლად უდევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშვიდობო პოლიტიკას. ამასთან მან აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრების სურვილი — მიიღონ განაღარების პრობლემის წარმატებით გადაჭრის ან, ყოველ შემთხვევაში, შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების ღონისძიებანი და გადაწყვეტილება 1954 წლის აპრილში ჟენევაში სსრ კავშირის, აშეიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენლების თათბირის მოწვევის შესახებ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვისათვის.

ეჭვი არ არის, — თქვა გროტეოლმა, — რომ გერმანელი ხალხისათვის, რომელიც ისწრაფვის მიღწეოს შეთანხმებას და თავისი ეროვნული ინტერესების მოწესრიგებას, ეს წარმატებანი იმის სტიმულია, რომ უფრო მეტი ძალით განაგრძოს ბრძოლა საზავო ხელშეკრულებისა და გაერთიანებისათვის.

ოტო გროტეოლმა თავის განცხადებაში ცხადყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს, და კერძოდ შეერთებულ შტატებს, აგრეთვე მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ ბონის მთავრობას არა სურთ გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება, რადგან ისინი ისწრაფვიან რადაც უნდა დაუჯდეთ ხელი შეუშალონ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას და ცდილობენ იმ კრიზისიდან გამოსავალი, რომელიც მათ ემუქრება, ახალი ომების გაჩაღებაში ჰპოვონ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, — განაგრძო გროტეოლმა, — რომელიც გამოვიდა მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე მოსახლეობის ნებასთან სრული თანხმობით როგორც მთელი გერმანელი ხალხის წარმომადგენელი, ოთხი სახელმწიფოს თათბირს გადასცა მემორანდუმი გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ. ეს მემორანდუმი შეეფერება გერმანელი ხალხის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებს და გამოხატავს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გერმანელთა ერთადერთ თვალსაზრისს მათი სასიცოცხლო ეროვნული საკითხების შესახებ.

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ილაპარაკა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის პოზიციის შესახებ. შეეხო რა იმ წინადადებებს, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა ამ თათბირზე დღის წესრიგის მეორე პუნქტის — „გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები" — განხილვისას, ოტო გროტეოლმა განაცხადა:

საბჭოთა კავშირი ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელმაც ოთხი სახელმწიფოს თათბირს წარუდგინა ნათელი, კონსტრუქციული და გონივრული წინადადებანი, რომლებიც სამსახურს უწევენ ხალხთა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნების საქმეს და შეესაბამებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებებს.

ამისათვის ჩვენ სსრ კავშირის მთავრობას, საბჭოთა დელეგაციას და განსაკუთრებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვს დიდ მადლობას ვუძღვნით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის სახელით.

საბჭოთა დელეგაცია ხელმძღვანელობდა მისწრაფებით — დადო ისეთი შეთანხმებანი, რომლებიც ზიანს არ აყენებენ სხვების ინტერესებს, მისაღები არიან თათბირის ყველა მონაწილისათვის და შეეფერებიან ყველა ერის — დიდი და პატარა ერების — სასიცოცხლო ინტერესებს.

ოტო გროტეოლმა თავის განცხადებაში დაგმო დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია ბერლინის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის კონსტრუქციული წინადადებების მიმართ, რომელთა მიზანია საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელება და სადაო საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრა.

შეეხო რა ბონის მთავრობის პოზიციას ოთხი სახელმწიფოს ბერლინის თათბირის შედეგების მიმართ, და განსაკუთრებით საბჭოთა დელეგაციის წინადადებების მიმართ ამ თათბირზე, ოტო გროტეოლმა მოიხსენია ადენაუერის გუშინდელი გამოსვლა მიტინგზე დასავლეთ ბერლინში. გროტეოლმა ამხილა ამ გამოსვლის ორპირული ხასიათი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადენაუერის მთავრობის პოლიტიკა ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის ინტერესებს და, ბოლოს, ხალხი მას უარყოფს.

როგორც ცნობილია, დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფალთა წარმომადგენლებმა ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლეს კომისარს გერმანიაში მიმართეს წინადადებით განიხილოს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის მომოსვლის საკითხი, აგრეთვე გერმანიაში ბუნდოვანი გამოცემების გავრცელების საკითხი. შეეხო რა ამ წინადადებებს, გროტეოლმა აღნიშნა მათი დემაგოგიური ხასიათი, ამასთან პალატას მოაგონა, რომ საბჭოთა დელეგაციამ ბერლინის თათბირზე შეიტანა მთელი რიგი კონსტრუქციული წინადადებანი ამ მიმართულებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ მოუღია პასუხი დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან. ამასთან ერთად გროტეოლმა განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მომოსვლის, ლიტერატურის გავრცელებისა და სხვა საკითხები გერმანელთა წმინდა საშინაო საქმეა და რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, როცა იგი შეიქმნა და თავის ხელში აიღო ადმინისტრაციული ფუნქციები, უკვე შესთავაზა დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებს განეხილათ აღნიშნული საკითხები, მაგრამ მათგან პასუხი არ მიუღია.

ამასთან დაკავშირებით გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს გერმანიაში მომოსვლის სრულ თავისუფლებას მთელი მოსახლეობისათვის, მაგრამ იგი ვერ დაუშვებს, რომ ბონის ბლანკის სამხედრო სამინისტროს, გელენის ჯაშუშური ორგანიზაციისა და სხვა ტერორისტული და ჯაშუშური ორგანიზაციების აგენტებს გაუადვილდეთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემოსვლა და საქმიანობა გერმანიის ამ ნაწილში. ამასთან დაკავშირებით გროტეოლმა აგრეთვე განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, როგორც წინათ, არც ახლა აქვს განზრახული იმ პატიოსანი გერმანელი ადამიანების დევნა, რომლებმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დატოვეს მტრული იმპერიალისტური პროპაგანდის გავლენით და შემდეგ დაბრუნდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

შემდეგ გროტეოლი შეეხო იმ ამოცანებს, რომ გერმანელმა ხალხმა აწარმოოს შემდგომი ბრძოლა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის და გერმანიის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე.

გერმანელი ხალხისათვის, თქვა მან, დასავლეთის სახელმწიფოთა უარყოფითი პოზიციიდან და საბჭოთა კავშირის დადებითი პოზიციიდან ამ საკითხში უეჭველია ლოგიკით გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ საჭიროა უფრო ძლიერ, ვიდრე ოდესმე, განამტკიცოს მეგობრობა საბჭოთა კავშირთან — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯთან.

განა გერმანელი ხალხის ინტერესებს არ შეესაბამება საბჭოთა კავშირის განცხადება იმის შესახებ, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრა უწინარეს ყოვლისა თვით გერმანელებს საქმეა, რომ გერმანელებს უნდა მოუსმინონ კონფერენციაზე?

განა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოლოტოვის წინადადება, რომ მოეწყოს რეფერენდუმი სამხედრო ხელშეკრულებათა და საზავო ხელშეკრულების საკითხზე, არ არის ისეთი წინადადება, რომელიც შეესაბამება გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს?

დიახ, საბჭოთა კავშირის ეს და ყველა სხვა წინადადება სავსებით შეესაბამება გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

სუვერენული ახალი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანია შეიძლება წარმოითვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, განაგრძო გროტეოლმა, თუ არ იქნება ადენაუერის სამხედრო ლაშქარი ამერიკელ იმპერიალისტებთან, თუ არ შექმნიან გერმანელთა დაქირავებულ ჯარებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ევროპის ხალხთა უშიშროება.

გერმანიის მომავალმა პოლიტიკამ უნდა გასცეს საამისო გარკვეული გარანტიები.

ასეთი გარანტიებია:

1. ერთიანი გერმანია დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე უნდა იყოს. იქ არ უნდა იყვნენ ანტიდემოკრატიული ძალები და დაჯგუფებანი, მილიტარისტული და ფაშისტური ორგანიზაციები; მონომოლიები არ უნდა ახდენდნენ რაიმე გავლენას გერმანიის პოლიტიკაზე.

2. გერმანიამ არ უნდა დადოს სამხედრო კავშირები.

3. გერმანიის თავდაცვითი არმია დაიშვება მხოლოდ მოწონებულ ფარგლებში.

4. საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისათვის უნდა შეიქმნას გერმანიის აგრესიისაგან უშიშროების გარანტიები.

5. უნდა შეიქმნას უშიშროების სათანადო გარანტიები დასავლეთის სახელმწიფოებისათვის, რომლებიც გერმანიის მეზობლები არიან.

ეს იმას ნიშნავს, რომ აღიკვეთება გერმანიის მხრივ ყოველგვარი სამხედრო აგრესიული მოქმედება ყოველი მიმართულებით.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გერმანელებს შორის მოხდეს შეთანხმება ეროვნული გაერთიანების ფაზების შესახებ — დროებითი მთავრობის შექმნა, საარჩევნო კანონის მომზადება, ნამდვილად თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების მოწყობა, ეროვნული კრების მოწვევა.

ასეთი პოლიტიკა ნიშნავს ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა მოსპობას და დასავლეთ გერმანიის აღორძინებული აგრესიული მილიტარიზმის ლიკვიდაციას. ეს პოლიტიკა უშიშროებას უქმნის ქვეყნებს, რომლებმაც უკვე ორჯერ განიცადეს თავდასხმა გერმანიის მხრივ, უშიშროებას უქმნის საბჭოთა კავშირს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, საფრანგეთს, ბელგიას, ჰოლანდიას, ნორვეგიას, დანიასა და სხვა ქვეყნებს, რომლებიც იტანჯებოდნენ გერმანიის მილიტარიზმისა და ფაშიზმის უღელქვეშ.

ასეთი პოლიტიკა მოსპობს აგრეთვე გერმანიაში ძმათამკვლელი ომის საშიშროებას, იმ საშინელ საფრთხეს, რომ გერმანია გახდეს ამერიკელთა მიერ ნავარაუდევი ომის სტრატეგიული საწყისი პლაცდარმი და ბრძოლის მთავარი ველი.

ამიტომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება ოთხი სახელმწიფოს თათბირზე საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გერმანია, სანამ მიღწეული იქნებოდეს შეთანხმება საზავო ხელშეკრულებაზე, შეუთავსებელი დარჩება და რომ გარანტირებულია გერმანიის ნეიტრალიზაცია განსაზღვრული ვადით.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა მეორე წინადადებას, რომ დადოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ. ჩვენ მივგვიჩნია, რომ უშიშროება ევროპაში და მშვიდობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ყველა მშვიდობიანი სახელმწიფოს კოლექტიურ ღონისძიებათა შედეგად, და ვაცხადებთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც არსებობის პირველი დღეებიდანვე ხალხთა შორის მშვიდობისა და თანაშრომლობის თანმიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებს, მზად არის ითანამშრომლოს ევროპის კოლექტიური უშიშროების ასეთ სისტემაში. ჩვენ მიგვიჩნია, რომ ეს არ ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. ევროპაში მშვიდობის ასეთი ბანაკის შექმნას მოჰყვებოდა აგრეთვე გერმანიის საკითხის მოწესრიგების დაჩქარება. უფრო მეტიც, ასეთი პაქტი მოსპობს გერმანიის საკითხის მოწესრიგების მთავარ დაბრკოლებას, სახელდობრ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო ბლოკში დასავლეთ გერმანიის შეყვანას, რაც შეუთავსებელია მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის შექმნასთან. ასეთი ხელშეკრულება ხელს შეუშლიდა ევროპაში ერთმანეთისათვის დაპირისპირებულ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნას და თავიდან აგვაცილებდა ახალ ომს. ეს კი მთელი გერმანელი ხალხის მიზანი და მხურვალე სურვილია.

ამიტომ გერმანელმა ხალხმა გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადადგას ამ მიმართულებით. ამ პერიოდში ეს ნაბიჯია — მოეწყოს სახალხო კენჭისყრა საკითხზე: ბონის ხელშეკრულება და ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ" თუ საზავო ხელშეკრულება? თუმცა ოთხი სახელმწიფოს თათბირმა ვერ გადაჭრა გერმანიის პრობლემები, მაგრამ ეს პრობლემები მაინც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან.

ჩვენთვის უფრო ნათელი გახდა სიძნელეები. მაგრამ მათ არ შეეკუბებით. პირიქით, ბრძოლა გრძელდება, და ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნია მხოლოდ მორიგების ობიექტად, რომელსაც იგი შესაფერ მომენტში მსხვერპლად გაიღებს, ახლა ხედავენ, რომ ეს სრულიადაც არ არის ასე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დღეს უფრო მტკიცედ და უერყევად დგას, ვიდრე ოდესმე, მშვიდობის ბანაკში დიდ საბჭოთა კავშირთან მჭიდრო მეგობრობით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთელი ძალღონითა და უშიშრობით კვლავაც განაგრძობს ბრძოლას გერმანიის ეროვნული პრობლემების გადასაჭრელად, საზავო ხელშეკრულების დასადებად და ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის აღსადგენად.

ოტო გროტეოლმა თავისი განცხადება ამით დაამთავრა, რომ მოუწოდა მოსახლეობას განამტკიცოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — ყველა გერმანელი პატრიოტის ბურჯი მშვიდობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში.

ადენაუერის გამოსვლა დასავლეთ ბერლინში

დასავლეთბერლინელი ახალგაზრდობის პროტესტი

ბერლინი, 24 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ადენაუერმა სიტყვა წარმოთქვა მიტინგზე დასავლეთ ბერლინის „ფუნკტურმის" შენობაში. თავის სიტყვაში, რომელიც მიეძღვნა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის შედეგებს, მან სრული დუმილით აუარა გვერდი საბჭოთა დელეგაციის ყველა კონსტრუქციულ წინადადებას ბერლინის თათბირზე და დაიწყო ცილისმწამებლური მსჯელობა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ადენაუერი ყოველნაირად ასხამდა ქება-დიდებას დასავლეთის სამი მინისტრის პოზიციას ბერლინის თათბირზე იმის გამო, რომ მათ უარყვეს საბჭოთა წინადადებანი. იგი მოუწოდებდა რაც შეიძლება მალე განახორციელონ ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებანი.

დემოკრატიული პრესის ცნობით, ადენაუერის გამოსვლის დროს დასავლეთბერლინელმა ახალგაზრდობამ „ფუნკტურმის" შენობის მახლობლად „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ ხელშეკრულებისა და სამხედრო ბეგრის შემოღების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად კოცონზე დაწვა ამ ხელშეკრულების, ფაშისტურ გაზეთ „ზოლდატენ ცაიტუნგის", გაზეთ „ფოლადის მუზარადის" ეგზემპლარები და ფაშისტი გენერლების გუდერიანის, რამკეს და გალანდის წამქეზებლური თხზულებანი.

გავრცელებულ იქნა ათასობით ფურცელი, რომლებიც შეიცავდნენ პროტესტს ადენაუერის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, ბონის სამხედრო ხელშეკრულებისა და სამხედრო ბეგრის კანონპროექტის წინააღმდეგ. „გერმანელ ახალგაზრდობას, — ნათქვამია ფურცლებში, — არა სურს დაღვარის სისხლი ახალ იმპერიალისტურ ომში და სს-ელი გენერლების ბრძანებით ემსახუროს ამერიკას". სახლების კედლებზე და აფიშების სვეტებზე გაკრულ ანალოგიური შინაარსის პლაკატები.

დასავლეთბერლინელი ახალგაზრდობის გამოსვლები ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებებისა და სამხედრო ბეგრის კანონპროექტის წინააღმდეგ დასავლეთ ბერლინის თითქმის ყველა რაიონში მოხდა.

იტალიის მოსახლეობის რიცხვი

რომი, 25 თებერვალი. (საკდესი). ინსის საგენტო იუწყება, რომ 1953 წლის 31 დეკემბრისთვის იტალიაში იყო 47.213 ათასი მცხოვრები.

ბრაზილიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის კარლოს პრესტესის ინტერვიუ

ნიუ-იორკი, 24 თებერვალი. (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ბრაზილიის გაზეთ „იმპრენსა პოპულარში" გამოქვეყნებულია ბრაზილიის კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კარლოს პრესტესის ინტერვიუ ეროვნული კონგრესისა და შტატების საკანონმდებლო კრებების არჩევნების, აგრეთვე გუბერნატორთა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევნების შესახებ, რაც ბრაზილიაში 1954 წლის 3 ოქტომბერს გაიმართება.

პრესტესმა განაცხადა, რომ ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ძირითადი მიზანი იქნება დაამარცხოს ის უმცირესობა, რომელსაც მთავრობაში მთავარი პოზიციები უკავია, და ეს უმცირესობა შეცვალოს ყველა პატრიოტულ ძალთა წარმომადგენლებით, რომლებიც მზად არიან თანამშრომლონ მშვიდობის უზრუნველყოფის, ეროვნული სუვერენიტეტის დაცვისა და იმ აუტანელი პირობების ლიკვიდაციის კონსტრუქციული პროგრამის განხორციელებაში, რომლებშიც ბრაზილიელი ხალხი ცხოვრობს.

პრესტესმა პრეზიდენტ ვარგასს ბრალად დასდო, რომ იგი ახორციელებს ამერიკის მონოპოლიებისადმი დამორჩილების პოლიტიკას, და მოუწოდა ყველა ანტიიმპერიალისტურ ჯგუფს, მათ შორის არმიის მეთაურთა შემადგენლობას, გლეხებსა და ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, დამარცხონ ვარგასი არჩევნებში.

სპორტის ამბები

ბუქარესტში გაიხსნა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ბუქარესტი, 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს ბუქარესტში, პროფკავშირთა ცენტრალური სახლის თეატრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მე-4 საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც მოაწყო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა. ტურნირში მონაწილეობს ცხრა ქვეყნის — სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, შვეიცარიის, ბელგიის, იტალიის, „ახალი ზელანდიისა" და რუმინეთის 18 მოჭადრაკე. შეჯიბრების მონაწილეთა შორის არიან შვედი გროსმაისტერი შტალბერგი, საერთაშორისო ოსტატები პახმანი (ჩეხოსლოვაკია), სლიფა (პოლონეთი), ო'კელი (ბელგია), ვეიდი (ახალი ზელანდია), პაოლი (იტალია), ტროიანესკუ (რუმინეთი). სსრ კავშირიდან მონაწილეობენ ოსტატები — კორჩნოი, ფურმანი, ხოლმოვი და ნეიმეტდინოვი.

საერთაშორისო შეჯიბრება რუსულ ჰოკეიში

24 თებერვალს მოსკოვში „დინამოს" ცენტრალური სტადიონის სასრიალოზე დაიწყო საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება რუსულ ჰოკეიში. ტურნირში მონაწილეობას იღებენ ნორვეგიის, ფინეთის, შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის გუნდები.

ყინულზე პირველნი გავიდნენ შვეიცარიისა და ნორვეგიის გუნდები. შეედმა სპორტსმენებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4:0.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ გაიმართა მეორე შეხვედრა. ერთმანეთს შეხვდნენ ფინეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 2:1 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

26 თებერვალს შეჯიბრების მეორე დღეა. პირველად თამაშობენ ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის გუნდები, შემდეგ — შვეიცარიისა და ფინეთის გუნდები. (საკდესი).

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ტანვარჯიშში

ლენინგრადი, 24 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ზამთრის სტადიონზე დაიწყო ჩეხოსლოვაკიის, ფინეთისა და სსრ კავშირის ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ტანვარჯიშში.

შეჯიბრება დაიწყო ტანმოვარჯიშეთა პარადით. ორკესტრმა შეასრულა ჩეხოსლოვაკიის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

პირველ დღეს შეჯიბრების მონაწილენი ასრულებდნენ ნებისმიერი პროგრამის ვარჯიშს. საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გუნდში, რომელმაც დაიწყო რგოლებზე ვარჯიშობით, ჩინებულად გამოვიდა ა. აზარიანი, რომელმაც მიიღო შეფასება 9,9 ბალი. ფინელი ტანმოვარჯიშეები ასრულებდნენ ვარჯიშს ორძელზე. უმაღლესი შეფასება — 9,6 ბალი მიიღო ო. ლამპალაინენმა. თავისუფალი ვარჯიში შეასრულეს ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეებმა. ყველაზე უკეთ გამოვიდა ვ. პროროკი — 9,45 ბალი.

თბილისს ჩამოვიდა დანიელ მასწავლებელთა დელეგაცია

25 თებერვალს თბილისს ჩამოვიდა დანიელ მასწავლებელთა დელეგაცია, რომელიც უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების მოწვევით სტუმრად არის სსრ კავშირში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სიკიერ სერენი, პილ მოგენსი, ფრედერიკსენ რიკარდ ლუდვიგი, ფორბეკ კარლ ფრედერიკი, იაკობსენ ჰერგელ სტეენფოლშერი, ჰოე-რასმუსენ ვაგი, ჰაუგე იბი, გრეგერსენ ტორბენი, ნორდენტოფტ ინგერ მერეტე, ბარფოედ ელსი მარიე კრისტიანე, კოლსტრუპ ნილს იორგენ პედერი, ჰორნბეკ მინა, ვაიბელ ანა კრისტინე.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე გ. კარბელაშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე თ. ზახარეშვილი, თბილისის ქალთა მე-19 საშუალო სკოლის დირექტორი ა. ქურიძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები.

დანიელი მასწავლებლები გაიცნობენ საქართველოში სახალხო განათლების საქმეს. (საკდესი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. გ. ნ. მირიანაშვილი — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

ამხ. გ. ვ. კირკალიძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში.

ამხ. ვ. ა. ობოლაძე — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში;

ამხ. ი. ი. ჩოდრიშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ სატყეო მეურნეობის დარგში. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაშვილი.

ლექცია

26 თებერვალს საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის